# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 176. კვირა, 14 დეკემბერი 1903 წ. 140 გაზეთის № 2352.


## შემოდგომის ღამე

(ეტიუდი)

ღამის ათი საათი იქნება. ვერიდან ზანტად და ღელვით მოიპარება მოთეთრო და თხელი ბურუსი, კედლებს ეკვრის, ქუჩაში მოცურავს და ნახევრად მჭვირვალე ლეჩაქად ეხურება და ეხვევა მკვდარს და სწორედ ჩამოჭრილ კლდის მაგვარ სახლებს, ოდნავ განათებულ ფანჯრებს, ქუჩის ნაპირებში ჩამწკრივებულ გაწეწილს, შტოებით ღარიბსა და უფოთლო ხეებს, მძიმე, უმოძრაო და სამარისებურის სიცივით გაჟღენთილ ჰაერში იშლება, იხრწნება, ზოგიერთა დუქნების და სარდაფების ჯერ კიდევ ღია კარებებში და უმინო ფანჯრებში შედის, იქაურობას აბნელებს,

ფთრო თარისათ ა/ჰი-

დრო გამოშვებით სუსტად განათებულს, სველს და ხეების ჩრდილით და ფანრების შუქით მოქარგულ ტროტუარზე ჩემსკენ როგორც მოჩვენება რაღაც ჩრდილი მორბის, მოცოცავს, მოიპარება, ათასნაირად იცვლება, ხან გრძელდება, მოკლდება, განიერდება, ხან ხეების ჩრდილშივე იკარგება, შემდეგ ისევ ჩნდება, თან-და-თან მიახლოვდება და ბოლოს თვისივე პატრონის ფეხქვეშ ჰქრება. ჩრდილის პატრონი ხან პალტოს ძონძებში ჩამძვრალი და სამად მოხრილი ბებერია, ხან ხტუნაობით, შმუშვნით და ღიღინით მიმავალი დუქნის პატარა ბიჭია, ხან უპალტოო და უფულო ახალგაზდა, იშვიათად— სწორედ მოსიარულე და გაჭიმული სამხედრო წოდების კაცი, უფრო ხშირად კი დაბალი ხარისხის როსკიპები არიან, რომელნიც მხოლოდ დღევანდელ ნავაჭრით, ხვალინდელ იმედე-

ბიან, ნამუშევარს შუაზე იყოფენ, ყოველ დღე ერთმანეთშორის გამოცვლილ ტანისამოსს იცვამენ, პოლიციისა და ექიმისა ცეცხლივით ეშინიანთ და მუშტარს თავიანთ ოთახში უადგილობისა გამო ან სახლში, ან სასტუმროში მიჰყვებიან.

ეხლა ზოგი მათგანი საწყლად მობუზულა, კაბა მუხლებამდის აუწევია და ნისლში გახვეული ჩქარის ნაბიჯით ჩემსკენ მოდის, მიახლოვდება და როცა დამინახავს, ნაბიჯს უკლებს, წელში სწორდება, კაბას უფრო მაღლა იწევს, შავ წინდებში გამოწკეპილ წვივებს მაჩვენებს, სახეზე ჩემდამი გულგრილობას იხატავს, ამაყი რხევით ახლო მივლის და მხოლოდ ერთხელ, ჩაციებით და ისიც თითქოს ცნობის მოყვარეობით და უნებურად გადმომხედავს ხოლმე. მე კი იმის გულგრილობით და ცნობის მოყვარეობით მოცულ სახეზე ცუდად დაფარულ თხოვნას გარკვევით ვკითხულობ: თუ გინდივარ... ნუ გცხვენიან, გაბედე... ზოგი მხარში მიდგება, გვერდით მომდევს, წინ იყურება და სუსტასა, საწყალისა და ძალდატანებულის ღიმილით რაღაცას მეუბნება. როცა იმის ლაპარაკს ყურს არ ვუგდებ, ხმას არა ვცემ და ნაბიჯს ვუმატებ, იგი ისევ უკან მომდევს, მეწევა, მხარში მხარს მკრავს, ბოდიშს იხდის, პატიებას მთხოვს და ისევ საწყლად და ძალ დატანებით იცინის. შემდეგ კი, როცა გადაწყვეტით რწმუნდება, რომ იმის მუშტარი არა ...



ხუთი წელწადია, რაც მე და სოფიო ერთ სახლში ვცხოვრობთ. ხუთი წლის განმავლობაში დითქმის ყოველ დღე ვ... დავდი იმის დაბალს და მომსქო ტანს, ფუნჩულა სახეს, პა... რა, წითელს და ყოველთვის მოღიმარე ტუჩებს, შავს და მო... ელვარე თვალებს და აბრეშუმივით წმინდა და ყოველთვის გა... ბურძგვნილს თმას, რომელიც თავის მშვენიერ ჩარჩოში უფ... რო მშვენიერ სურათს ატარებდა. თითქმის ყოველ დღე მეს... მოდა სოფიოს ზარივით წმინდა ხმა, მხიარული, უდარდელ... კისკისი, ვხედავდი იმის ცქვიტს და სიცოცხლით სავსე მოძ... რაობას, სირბილს და ჩემში თან-და-თან მისდამი რაღაც გამოურკვეველს, ამაღელვებელს, უხილავ მისწრაფებას და მიმზიდველობას ვგრძნობდი. ხშირად მომდომნია იმის დაჭერა, იმასთან

Доз. ценз. Тифлисъ, 10 декабря 1903 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ვმდგარვარ და იმის ხანგრძლივ და ყრუ ქვითინისთვის ნახევარ საათობით ყური მიგდია, რის შემდეგაც იმის ოთახში შესვლა, ნუგეშის ცემა, გამხნევება, უფრო ხშარად კი იმასთან ერთად ტირილი მომინდომებია, მაგრამ როცა მომაგონდებოდა ხოლმე, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ—უკანვე გამოვბრუნებულვარ და როგორც ეხლა, უაზროდ და უმიზნოდ მთელი საათობით ქუჩებში მივლია.

საზაფხულოთ სოფელში წაველი და როცა ორი თვის შემდეგ უკანვე დავბრუნდი, სოფიო იმავ ღამეს ჯერ გოლოვინსკზე და ორი საათის შემდეგ ვიღაც უცნობ კაცთან ერთად თავისს ოთახში დავინახე. ეხლა არ ვიცი, მებრალება ეს ქალი, თუ უცნობისადმი წვრილმანი შური მიპყრობს, მაგრამ ადგილიდან არ ვიძვრი, სიბნელეში მდგომთ და ოდნავ განათებულ უცნობს და სოფიოს ვუცქერი, ყურს ვუგდებ და ვხედავ, რომ კაცი შედარებით გაცილებით დაბალ სოფიოს ზევიდან დასცქერის, დახრილა და დიდხანს ჩუმი ხმით რაღაცას ლაპარაკობს, ეჩურჩულება, სთხოვს, იმისი წაყვანა უნდა და მეც წარმოდგენილი მაქვს მისი მოელვარე, პირუტყვული სურვილით სავსე თვალები, ოდნავ მოღიმარე პირსახე, სოფიოს ხშირი და აჩქარებული სუნთქვა, მთრთოლვარე ტანი, ხანგამოშვებით ყელში მობჯენილი ნერწყვის ყლაპვა, ვხედავ იმის დაბლა დაშვებულ თავსა, გაბურძგვნილ თმასა და... იმისი ნაწყვეტ-ნაწყვეტიანი, დაბალი და მოკანკალე ხმაც მესმის:

— არა, არა... თავი დამანებეთ... ხელი გამიშვით...

სოფიო იწევს, უცნობისგან განთავისუფლება უნდა, მაგრამ ის არ უშვებს, ხელებს უჭერს, თავისკენ იზიდავს და ისევ რაღაცას ეუბნება. მე ისევ იქვე ვდგევარ, გულზე ბოლმა მეტის ძალით მაწვება, გვერდზე ვიყურები, პაპიროსს ვსრესავ და მინდა, რომ სოფიოსაც ისე დავუყვირო, როგორც უფსკრულის პირზე მდგომ ბრმას, როგორც კაცს, რომელსაც საშინელი განსაცდელი მოელის: მოშორდი! გაფრთხილდი! გაფრთხილდი!—მაგრამ ხმას არ ვიღებ და რამდენჯერმე ჩემ თავს ვეკითხები: გაჰყვება თუ არა? გაჰყვება თუ არა? არა, არ გაჰყვება,—ვამბობ გულში და თითქმის იმ წამსვე ვხედავ, რომ უცნობს თავის მსხვერპლისთვის წელზე ხელი მოუხვევია და თითქმის ძალით მიჰყავს იგი. სოფიო სუსტად ეწინააღმდეგება და ჩუმი ხმით უკმაყოფილებას უცხადებს.

— გამიშვი... თავი დამანებე.... დავიყვირებ... ხელი.... ხელი გამიშვი... მაგრამ მისდევს... მისდევს... მაინც მისდევს. მიმავალთ თვალს ვაყოლებ, მთელ ტანში ჟრუანტელი მივლის, ვბრაზდები, ვგიჟდები და უცებ მინდა, რომ გავიქცე, უცნობს დავეწიო, შევებრძოლო, სოფიო დავიხსნა, შინ წავიყვანო და თუ ფული უჭირს, რამდენიც მექნება, სულ იმას მივცემ, ხვალვე, დღესვე სამუშაოს ვუშოვი... სადმე მოსამსახურედ, მოახლედ დავაყენებ... მევე შევინახავ... მოვუვლი.... ოღონდ დარჩეს, ის კაცი გააგდოს, არ გაჰყვეს... ადგილიდან არ ვიძვრი და ვხედავ, რომ ბრძოლა უკვე გათავდა, სოფიო აღარ ეწინააღმდეგება, მისდევს, მიჰყვება და... მალე ორივენი სიბნელეში იკარგებიან. აღარც მათი ფეხის ხმა ისმის. ერთ ადგილზე დიდხანს ვდგევარ და სოფიოზე ვფიქრობ. ეხლა ის მხოლოდ მებრალება და... მეტი არაფერი. ქუჩაში მოძრაობა სრულიად მიწყდა. გაძლიერებული ქარი მეტის თავისუფლებით დასრიალებს ქუჩებში, ხეების შტოებს არხევს და გუბეებსა და ტალახში მოელვარე და მოლაპლაპე ნათელს აღელვებს და აციმციმებს. წვიმა თან-და-თან მატულობს. გაღმიდან ორთქლ-მავალის ხანმოკლე და ხრინწიანი სტვენა მოისმა. მას მოჰყვა მძიმე ქშენა, თვლების რახრახი და ეს ხმები ხან სუსტდება, იკარგება, შემდეგ უფრო მეტის ძალით იბადება და ბოლოს ყოველივე მიწყდა, გაჩუმდა და ღამის წყვდიადში მიიმალა. ცოტა ხნის შემდეგ სადღაც შორს, სახლების უკან დაგვიანებულ ეტლის რიხრიხი დაიბადა, გაძლიერდა და შემდეგ ისიც მიყუჩდა...

— უკაცრავად... ნება მიბოძეთ.—მომესმა ხრინწიანი, სუსტი ჩურჩული და ჩემ წინ სიბნელიდან ამ ხმის პატრონიც გაჩნდა.—ნება მიბოძეთ... იქნებ გუშინდელ სტუდენტისთვის ან კარიდორში, ან სამზარეულოში დასაძინებელი ალაგი გქონდეთ... იქნებ არ დაიჯეროთ, მაგრამ... ერთ დროს სტუდენტი გახლდით... ნამდვილი სტუდენტი გახლდით!—მარწმუნებს სამზარეულოში დასაძინებელ ალაგის მთხოვნელი და მეორე ჯერ იმეორებს:—ერთ დროს მეც სტუდენტი გახლდით... ნამდვილი სტუდენტი გახლდით...

ფანრის ნათელი სუსტად ანათებს ჩემ წინ მდგომ „გუშინდელ სტუდენტს“ და დღევანდელ შუა ტანის გამხდარს, ფეხშიშველას და მობუზულ-მოკრუნჩხულ კაცს. მეც ვათვალიერებ და იჭვით ვუყურებ იმის მოკლე, გამოურკვეველ ფერის ჩემ წინ მხტუნავ და მოცახცახე წვერს, თვალების მაგივრად ორ შავს და ღრმა ორმოს, იმათ ძირში ორ მოელვარე წერტილს, ქუდის მაგივრად მაუდის და მასზე მიბმულ ტყავის ნაგლეჯით და გძელის და სველი თმებით დაფარულ ყურებს და შუბლს, მხრებ შუა ჩამძვრალ-ჩაკარგულ კისერს, მაღლა აწეულ მარჯვენა მხარს და მასზე მისვენებულს თავს და მაგონდება, რომ „გუშინდელი სტუდენტი“ შარშან ზამთარში „გამოგდებული სოფლის მასწავლებელი“ იყო, გაზაფხულზე „უდანაშაულოდ დათხოვნილი რკინის გზის სადგურის უფროსი“, შემდეგ „ფოსტის მოხელე“ და უფრო ხშირად კი „სოციალურ იდეების გავრცელებისთვის ყოველსავე ღირსება-უფლებას მოკლებული და, მაშასადამე, არც სამსახურის და მუშაობის ნება აქვს.

— სტუდენტად გახლდით,—ხმის კანკალით და ჩურჩულით მეუბნება იგი,—კიევის უნივერსიტეტის ნამდვილი სტუდენტი ვიყავი, მაგრამ სიმართლისთვის ბრძოლა, იდეიები და უსამართლობა... სოციალურ იდეიების მსხვერპლი გახლავართ...., „იდეიების მსხვერპლი“ კიდევ კარგა ხანს მელაპარაკება, ტოკავს, ხან ერთ და ხან მეორე ტიტველა ფეხზე დგება, უფრო ძლიერ იბუზება, პატარავდება, მისი ისედაც მოკლე კისერი სადღაც იკარგება და ჩემ წინ მხოლოდ იმისი მოკლე და მსხვილი წვერი-ღა თრთის და ცახცახებს.

— მარტო არა ვარ... ამხანაგი მყავს... სოფლის მასწავლებლად იყო, მაგრამ გამოაგდეს... სოციალისტობა დაიწყო და გამოაგდეს, რუსია, მაგრამ მშვენიერი კაცია, ძალიან პატიოსანი კაცია,—მაუწყებს სტუდენტი, თავს მეორე გვერდზე იხრის და ყვირის:

— Иванъ Петровичъ!

იმავ წამს სიბნელიდან თავსა ჰყოფს და სტუდენტს ეფარება თავის მეგობარზე უფრო მაღალი, სქელი და ხნიერი „სოფლის მასწავლებელი“ ივან პეტროვიჩი. იმას თავის განიერ და ოდესღაც თეთრ, ეხლა კი ტალახის ფერ შალვრის დამალვა უნდა, მაგრამ მაინცა ვხედავ იმას და ვრწმუნდები, რომ იგი ოდესღაც ღამის საცვლის მოვალეობას ასრულებდა და შალვრის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. „მასწავლებელს“ ცალ ფეხზე ყელმოჭრილი ჩექმა აცვია, მეორეზე კი ჩუსტი. მხრებზე შალის მაგვარი ჩვარი აქვს წამოსხმული. მისი გაბურძგვნილი, ქერა და ყოველ მხრივ გაფანტული წვერი ძლივსღა აჩენს პატარა, ღილის მაგვარს და ცას შემყურე ცხვირს, უშველებელ წარბებს, და ეს მატყლის ბუღული ბურჯად უდგა თვალებამდის ჩამოფხატულს „კარტუზს“ და მას სახის სრული დამალვის ნებას არ აძლევს.

— Учителемъ былъ.—ივან პეტროვიჩზე მეუბნება „სტუდენტი“ და სიჩუმის შემდეგ პირზე ხელებს იფარებს, ცოტა განზე დგება, ახველებს და ერთი თითით ცხვირს იწმენდავს.

მე ხან „სტუდენტს“ და ხან „მასწავლებელს“ ვუყურებ და ის დრო მაგონდება, როცა ალექსანდროვის ბაღთან მთვრალმა „სტუდენტმა“ სტუდენტობა ივან პეტროვიჩს დაუთმო, თვითონ კი „მასწავლებლობა“ მიითვისა და შაური მთხოვა. ივან პეტროვიჩი კი მოშერებით იდგა და რომ არ წაქცეულიყო, ფარნის ბოძს ეჭიდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ორივენი ჩემი შაურისთვის წაიჩხუბნენ, ერთმანეთს სცემეს, მერე შერიგდნენ და ბარბაცით პოლიციელს გაჰყვნენ.

ხუთი წუთის შემდეგ „მასწავლებელი“ და „სტუდენტი“ უკან მომდევდნენ.

მასწავლებელი ჩუსტს მოაშლაპუნებს, ჩექმით აკაკუნებს და აუჩქარებელის ნაბიჯით მოდის. „სტუდენტი“ უფრო ძლიერ იბუზება, გუბეებს ერიდება, ფეხების გასათბობად ჩქარის და პატარა ნაბიჯით მორბის, მერე ერთ ალაგზე ჩერდება, ხტის, ტრიალებს, ივან პეტროვიჩს განუწყვეტლივ მხარში მხარსა ჰკრავს, წვრილი ხმით კისკისებს, „სოფლის მასწავლებელს“ მოსვენებას არ აძლევს და აჯავრებს:

— Босявка! босявка! босявка!

„სტუდენტებს“, უეჭველია, ბოსიაკის თქმა უნდა, მაგრამ, რაღაც მიზეზისა გამო სიტყვას ამახინჯებს, გაჩუმებულ ივან პეტროვიჩის მოთმინებიდან გამოყვანა ძალიან გულით უნდა და თავის აზრის მისაღწევად გულმოდგინედ სცდილობს და ათას ხრიკს და მოსაზრებას ხმარობს. მეც ხან გამოშვებით უკან ვიხედები, „მასწავლებელს“ ვუყურებ და ვხედავ, რომ საცაა „სტუდენტი“ თავის მიზანს მიაღწევს.

— Глупъ ты, другъ мой, и больше ничего.—ფილოსოფიურ გულგრილობით უპასუხებს ივან პეტროვიჩი და „სტუდენტის“ დასაჭერად ემზადება.

— Босявка! босявка! босявка!—განუწყვეტლივ იმეორებს „სტუდენტი“ და უკვე გაჯავრებულ ივან პეტროვიჩს გარშემო ურბენს, უჩიჩხვინებს და მხიარულად იცინის.

— Отстань, а то...—მშვიდობიანად ურჩევს ივან პეტროვიჩი, ჩერდება და თვალებს აბრიალებს.

„სტუდენტი“ ჯერ ერთ არშინზე გადახტა, მაგრამ ისევ მიუახლოვდა, ისევ იცინის, დარბის და უფრო მეტის გულმოდგინეობით სცდილობს და ყვირის:

— Босяска! босявка! бо...—და აღარ ათავებს, რადგან იმავ წამს იმისი პატარა და სუსტი სხეული გაბრაზებული „სოფლის მასწავლებლის“ იღლიის ქვეშ ფართხალობს.

— Будешь?—ეკითხება ივან პეტროვიჩი და ხელში აყვანილ „სტუდენტს“ ჩვარივით ჰმუჭნის.—Будешь?

— Босявка!—ყრუდ და უფრო გულიანად იმეორებს „სტუდენტი“ და მიწაზე დადგომას სცდილობს, მაგრამ ხელ-ფეხს მხოლოდ ჰაერში იქნევს და კვნესის.

— Будешь?—კიდევ ეკითხება ივან პეტროვიჩი და გ
მოზდილ გუბესთან ჩერდება.

— Босявка! бос...—და თავიან-ფეხებიანად გუბეში ამ
ლებული ოდესღაც „სოციალურ იდეიების“ და ეხლა კი ი
პეტროვიჩის „მსხვერპლი“ საჩქაროდ ზეზე დგება, „სოფ
მასწავლებლის“ იმისკენ გამოშვერილს მკლავებს უსხლტ
ჩემთან მორბის და ხმის კანკალით და ცრემლების წმენდ
შემომჩივის.

— ვირია, ნამდვილი ვირია! ყოველ დღე მცემს... მ
წავლებელი“ კი არა, ანბანაც არ იცის... გაუთლელი კ
ძია... ოცი წელიწადი რკინის გზაზე უბრალო დარაჯ
იყო...

— Разговарывай тамъ!—ბურტყუნებს მასწავლებელი
დაკარგულ ჩუსტს ეძებს.—Небось, самъ восемь годовъ въ
кеяхъ былъ.

— სტყუის! ღმერთმანი, სტყუის!—თავს იმართლებს „სტ
დენტი“ და თავის ბიოგრაფიას თავიდან იწყებს.

— Воръ!.. пьяница!.. подлецъ!...—ილანძღება „მასწ
ლებელი“ და შეშინებულ სტუდენტს ემუქრება:—Поймаю.
не уйдешь... поймаю...

„სტუდენტი“ ჩუმდება, შორი-ახლო მომდევს, მალი-მ
უკან იხედება და უკან ჩამორჩენილ მასწავლებელს უხვად უ
ვნის:

— Босявка!

ცოტა ხნის შემდეგ ორივენი ისევ ერთად მიდიან
მშვიდობიანად ერთმანეთს ასამართლებენ.

— Ничего, просохнешь. А чваниться при посторон
другой разъ не будешь.—ამხნევებს და მამაშვილურად ა
გებს „მასწავლებელი“ და პასუხად ისევ „სტუდენტის“ მხ
რული კისკისი მისდის.

მ. ადამაშვილი

(დასასრული იქნება)



რევიზია ქართულ დრამატიულ საზოგადოების გარდერობისა

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარ

Дов. ценз. Тифлисъ, 13 декабря 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—